ცნობის ფურცელი

№ 2108 ხუთშაბათი, 27 მარტი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2108

ხელის მოწერის ფასი: წლიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: პეტიტის სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში გოლოვინის ქუჩაზე, № 27 და წ. კ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ.ს გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ხელის მომწერთ ეგზავნებათ „სურათებიანი დამატების“ მე-104 № რი.

შაბათს, 29 მარტს, ზედონზნის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

სვიმონ პეტრეს ძე პერეჟიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ქვრივი და ძმები გარდაცვალებულისა ნათესავთა და ნაცნობთ. (2—2)

ნოე ბესარიონის ძე და ალექსანდრე ვლასას ძე ლორთქიფანიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

პარმენ ბესარიონის ძის ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას და სთხოვენ მათ მობრძანდნენ გასვენებაზე, რომელიც დანიშნულია 29 მარტს, საღამოს 5 საათზე. (1—1)

სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელნერის სისტემისა

„ი დ ე ა ლ“

სახალხოთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი ხაჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** **ტფილისში**, ოლგინსკი ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი 150.** ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე. (0—14)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ბედიმანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. მ. ჟორდანიძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ნ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

მ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. ა. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ძამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათს 11 1/2—12 1/2.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—კოჟისახსა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

მრ. მ. ხოჯოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. მ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკროსკოპიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი მ. დ. ნახარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (აზნაურის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-ღის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-ღის და საღამოთი 5—7-ღის.

გოლოვინის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი

ც. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, ლიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

საზღვარ-გარედ

ბალკანეთი. საქმე უფრო და უფრო მწვავდება და ოსმალეთის მთავრობაც სამხედრო სამზადისს ენერგიულად განაგრძობს: სულთანის ბრძანებით, მაკედონიაში გაგზავნეს ყველა ის ოფიცრები, რომელთაც განათლება გერმანიაში მიუღიათ. მცირე აზიიდან ახალ-ახალი ჯარები გადმოჰყავთ მაკედონიაში. მაკედონელების აჯანყებაც უფრო ძლიერდება სამსავე ოლქში.

ავსტრია-რუსეთის პოლიტიკის მომხრე გაზეთები-კი იმას ვერ ახერხებენ, რომ ყალბი და შეუფერებელი ცნობები ბეჭდონ მაკედონელების მოძრაობის ხასიათის შესახებ. „ჩვენ ჯერ კიდევ შარშან ვამტკიცებდითო, სწერს ერთი გაზეთი, რომ მაკედონიის ხალხი სრულებით არ ჰფიქრობს აჯანყებასა, რომ მთელი მოძრაობა ხელოვნურად არის გამოწვეული—მაკედონელი რევოლიუციონური კომიტეტებია, რომ ყველაფერი შექმნეს თავიანთის ტერორით. ...დაჩაგრულ ერის განთავისუფლების საქმე წმინდა საქმეა, მაგრამ როცა ასეთი საქმე შარლატნებისა და ინტრიგანების ჰუჭყიან ხელში ვარდება, ძალ-მომრეობაზე დამყარებულ არეულობის მეტი არაფერი გამოვაო“, ბრძანებს იგივე გაზეთი („ნოვოსტი“).

მთელი ხალხი ფეხზე დგას და სისხლსა ჰღვრის „დაჩაგრულ ერის განთავისუფლების წმინდა საქმისათვის“ და რუსული გაზეთი წარბ-შეუხრელად ამტკიცებს—მთელი მოძრაობა შარლატნებმა და ინტრიგანებმა გამოიწვიეს ხელოვნურადო. მართლა ეგრე რომ იყოს, მართლა თვით ხალხი არ იყოს ამოძრავებული თვის აუტანელ მდგომარეობის გამო, განა ოსმალეთის ძლიერი ჯარი ვერ მოსპობდა სულ მოკლე ხანში ასეთ „ხელოვნურ“ ბუნტს? ძალა მოძრაობისა სწორედ ის არის, რომ თვით ხალხია მისი შემქნელი და არა „შარლატნები და ინტრიგანები“.

და მერე ვის ეძახის გაზეთი ასეთ უშვერ სიტყვებს? გაჭირვებულ ხალხის თავდადებულ ხელმძღვანელებს, რომელნიც ომის ველზე ყოველ დღე სისხლსა ღვრიან და „წმინდა საქმეს“ თავს ანაცვალებენ. განა შეიძლება ასე უკადრისად ახსენოს კაცმა ის მასწავლებლები და მღვდლები, რომელნიც სიკვდილს გმირულად ხვდებიან გაჭირვებულ ხალხის განსათავისუფლებლად? თავისებური „ვაჟკაცობა“ უნდა გაზეთის ასეთ საქციელსაც!

საფრანგეთი. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც კომბის სამინისტროს დაღუპვას უწინასწარმეტყველებდნენ მტრები და ზოგი მეგობრებიც. მაგრამ წინასწარმეტყველება არ გამართლდა; პირ-იქით სამინისტროს მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა: პალატამ ზედი-ზედ მიიღო მთავრობის წინადადება, კონგრეგაციების დახურვის შემდეგ—ჯერ უარი უთხრეს ყველა იმ კონგრეგაციებს, რომელნიც სკოლების ნებართვას თხოულობდნენ; შემდეგ ეგრედ წოდებულ მქადაგებელ კონგრეგაციებსაც იგივე ბედი ეწვია. კომბმა თვალსაჩინოდ დაუმტკიცა პალატას, რომ ხსენებულ კონგრეგაციების ნამდვილი მიზანი რესპუბლიკის დამარხვა და სხვა არაფერი. პალატამაც კიდევ მეტის ხმის უმეტესობით მოიწონა სამინისტროს წინადადება.

მეორე ნიშანი კომბის სამინისტროს მდგომარეობის განმტკიცებისა ის არის, რომ პარიზის საქალაქო არჩევნებში (კერძო არჩევნები იყო) ოთხ საარჩევნო ოლაგში მთავრობის მომხრეებმა გაიმარჯვეს ნაციონალისტების წინაამდეგ.

ნაციონალისტური გაზეთები მეტად შეწუხებულნი არიან ასეთის გარემოებით და დამარცხების ბრალს ერთმანერთს სდებენ. მაგრამ ამითი საქმეს, რასაკვირველია, არ ეშველება. მართალს სწერს ეერო-რიშარი ერთ თავისს წერილში—პარიზმა იწყო გონზე მოსვლა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნაციონალისტებმა დაანახვეს ქვეყანას კონგრეგაციებზე კამათის დროს, რომ ეკლესიის აგენტები არიან. როშფორსა და დრიუმონს ერთად შეუძლიათ ინუგეშონ თავი—არწმუნონ თავიანთი მკითხველები, რომ ყოველი ხმა, რომელიც კი ნაციონალისტებს მოაკლდა, თითო ტალერი დაუჯდა იმპერატორ ვილჰელმს.“ ასეთი დაცინვა სავსებით დაიმსახურეს ნაციონალისტებმა: ესენი ხომ ყველას მოღალატეს და ქვეყნის გამყიდველს ეძახიან, ვინც კი მათებურად არ ჰფიქრობს.

◆ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ვატიკანი მეტად უკმაყოფილოა საფრანგეთის მთავრობის ასეთ ენერგიულ პოლიტიკის გამო. ამიტომ არის, რომ მტრული განწყობილება საფრანგეთისადმი თან-და-თან ძლიერდება. საქმე ის არის, რომ საფრანგეთი, ჯერ კიდევ საშუალო საუკუნოებიდან დაწყებული, ითვლება ყველა კათოლიკების მფარველად აღმოსავლეთში, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი. რასაკვირველია, სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით გერმანიას, არ მოსწონთ საფრანგეთის ასეთი საერთაშორისო უპირატესობა და სცდილობენ მის მოსპობას. აქამდე რომის პაპი ლეონ მეცამეტე ტრადიციას არ ჰღალატობდა და საფრანგეთის მხარეზე იდგა. არც ეხლა გამოუცხადებია თავისი თავისი აზრი რომის პაპს, მაგრამ საფრანგეთის მტრები დიდ ცდაში არიან პაპს აზრი შეაცვლევინონ.

რა უნდა მოიგოს რომის პაპმა პოლიტიკის გამოცვლით? სრულიად არაფერი და წაგებით კი, შეიძლება, ბევრიც წააგოს: თუ ვატიკანმა უღალატა საფრანგეთს და სცადა მისი უპირატესობის მოსპობა, კლერიკალისმი ბევრს დაჰკარგავს საფრანგეთის ხალხის იმ ნაწილის თვალშიაც, რომელიც ეხლა მას ნდობით უყურებს. ლეონ მეცამეტე შორსგამჭვრეტი დიპლომატია და ძნელი წარმოსადგენია გულის-თქმას აჰყვეს და რომის ტახტის მავნებელ პოლიტიკის გზას დაადგეს. გარდა ამისა საფრანგეთის რესპუბლიკას ბევრი საშუალება აქვს ხელში, კიდევ მეტი ზარალი მიაყენოს რომის ეკლესიას, როგორც საფრანგეთში, ისე ახალშენებშიაც.

ახალი ამბავი

◆ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა წლიური კრება 28 მარტის ნაცვლად დანიშნულ იქმნა 1 აპრილისთვის. კრება მოხდება სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

◆ დღეს, 27 მარტისთვის, ტფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში დანიშნულია **ბორჩალოს მაზრის** თავად-აზნაურთა კრება.

◆ დღეს, 27 მარტს, კრება ექმნება გუბერნატორის თავმჯდომარეობით **გუბერნიის აქა ჯაქ ო საქმეთა საკრებულოს.** საკრებულომ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საბჭოს დადგენილება, რომლითაც საყვედური გამოეცხადა გამგეობას ხარფუხის სკოლაში სწავლის შეწყვეტის გამო. უნდა განიხილოს აგრეთვე მეორე დადგენილება საბჭოსი საფერო პოლიციის აგენტად ნამყოფის ხეროდინოვის სამართალში მიცემის შესახებ.

◆ 24 მარტს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში **კრება ჰქონდათ** მოქალაქეთა რწმუნებულებს. კრებამ მოისმინა გუბერნატორის მოწერილობანი რწმუნებულთა დადგენილებების დამტკიცების შესახებ. ამის შემდეგ კრებამ მთელი საღამო მოანდომა ერთის საკითხის განხილვას. ეს საკითხი შეეხებოდა გადასახადის მოკრების საქმის გაწესრიგებას. საქმე ის არის, რომ გადასახადის ამკრებთ თითქმის ყველას უარი განუცხადებიათ თანამდებობაზე. გადასახადის ამკრებთ, ორიოდს გარდა, უთქვამთ, ჩვენ **ღარიბნი** ვართ და სამსახური არ შეგვიძლიან, რადგან საქმეს ვცდებითო. კრებამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, დაევალოს მოქალაქეთა გამგეობას განსაკუთრებულ კომისიასთან ერთად შეიმუშაოს მოხსენება ამ საქმის შესახებ და გამოარკვიოს, რომელ წყაროდან შეიძლება დაენიშნოთ **ჯამაგირი** ხარჯის ამკრებთ.

◆ გუშინ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ წარუდგინა გუბერნატორს მოკლე ანგარიში ტფილისის **საბაღოსნო სკოლის** შესახებ. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს, საბაღოსნო სკოლაში შარშან ყოფილა 41 მოსწავლე: აქედან ქართველი—16, სომეხი—18, რუსი—5, თათარი—1 და ლეკი—1. სკოლაზე 1902 წელს დაუხარჯნიათ 14,904 მან. 60 კაპ.

◆ კავკასიელ **სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების** გამგეობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „გამგეობა აუწყებს იმათ, რომელთაც ჰსურთ დაბეჭდილ წიგნებიდან შემოსავლისა ან იმის ნაწილის შემოწირვა, ჯერ-ჯერობით „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების“ გამგეობას დაეკითხონ და ამის თანხმობა მიიღონ წიგნის ყდაზე შესაფერის განცხადების აღბეჭდვისათვის; ამასთანავე უნდა გამოაცხადონ, რამდენი ცალი დაიბეჭდა იმ გამოცემისა.“

◆ შაბათს, 21 მარტს, სამეურნეო-საზოგადოების სადგომში კრება ჰქონდა **წყალში დახჩობისგან გადამრჩენელ საზოგადოებას.** სხვათა შორის ამ დღეს მოხდა არჩევნები. გამგეობის წევრებად აარჩიეს ტფილისის პოლიცმეისტერი კოვალევი და ტფილისის მოქალაქე აბრამოვი.

◆ იმ ახალგაზდათა სია, რომელთაც წელს უნდა **ამოიღონ ტფილისში კენჭი** სამხედრო ბეგრის გადასახდელად, გამოკიდებული იქნება ქალაქის გამგეობის სადგომში 1 აპრილამდე. ამ დრომდე ნება აქვთ ყმაწვილ კაცთ დამატებითი ცნობანი წარუდგინონ გამგეობას და შეასწორონ სია..

◆ **ტფილისის საზღვაოსნო სასწავლებლის დირექტორმა** ოჰანეზოვმა და მასწავლებელმა ბეჟანოვმა მოსთხოვეს საბჭოს **ჯილდო** იმ გაკვეთილებისათვის, რომელიც მათ 1898—99 სამოსწავლო წელს უკისრნიათ ერთ მა-

სწავლებლის ავადმყოფობის გამო. დირექტორს და მასწავლებელს ამ გაუქმებულ კომიტეტისთვის რამდენჯერმე მიუმართავთ ამ გვარისავე თხოვნით, მაგრამ კომიტეტს არ შეუწყნარებია. გამგეობამ გუშინ, 26 მარტს, დაადგინა, მისცეს ჯილდო ოჰანეზოვს რვა გაკვეთილისთვის 55 მან. 50 კაპ. და ბეჟანოვს ოთხ გაკვეთილისთვის—27 მ. 77 კაპ. ამასთან გამგეობამ დაადგინა, დაავალოს სასწავლებლის დირექტორს შეიმუშავოს ამ გვარ შემთხვევებში მასწავლებლის დასაჯილდოვებელი პირობანი.

◆ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაავალა ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს, რაც შეიძლება მალე ჩამოვიდეს ტფილისში და შეუდგეს აქაურ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორობას.

◆ მკითხველებმა იციან, რომ ტფილისში ადმინისტრაციამ დააარსა საადრესო სტოლი. ეხლა პოლიცმეისტერმა შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე, რომ სხვა ქალაქებსავით ტფილისშიაც გადასახადი დაწესდეს საადრესო სტოლის სასარგებლოდ. გადასახადი უნდა გამოერთვათ ტფილისში ჩამოსულთ თითოს ორ-ორი აბაზი.

◆ როგორც ვუწყით, ამიერ-კავკასიაში ეს რამდენიმე ხანია საქონლის აცრას შეუდგნენ. სამკურნალო დეპარტამენტმა დაავალა საბეითალო გამგეობას გაჰგზავნოს ბეითლები აცრის საქმის შესასწავლად ხურნაბადის ამცრელ სადგურში. საბეითალო გამგეობამ უკვე მოახდინა შესაფერი განკარგულება. ამასთან გამგეობამ მიჰმართა ქალაქის თვით-მმართველობასაც და სთხოვა, თავიანთი ბეითლებიც გაჰგზავნონ სადგურში.

◆ საჰიდრავლიკო სადგურის გამო შემდგარ კომისიის წევრებმა ბ-ნთ ფლორინსკიმ, კირაკოზოვმა და ენფიაჯიანცმა თავიანთი საკუთარი აზრი შეიტანეს ამ სადგურის აგების შესახებ. მოხსენებულია ის პირობანი, რომლითაც შეიძლება სადგურის აგება მიენდოს ტრამვაის უსახელო საზოგადოებას.

◆ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიაში ლაპარაკი აღიძრა საზაფხულო ახალშენების გამართვის შესახებ მოსწავლეთათვის. კომისიამ მოიწონა ეს აზრი და თავის წევრს ბ-ნს ლისიციანს მიანდო შესაფერ პროექტის შედგენა. ჰფიქრობენ, ახალშენი ჯერ ჯერობით 50 ყმაწვილისათვის გამართონ ტფილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ აგარაკში. გაჰგზავნიან ახალშენებში უფრო ღარიბებსა და ავადმყოფებს.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟ. ივანოვსკი პეტერბურგიდან ჩამოვიდა და თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

◆ 1904 წელს სრულდება 1500 წელიწადი, რაც სომხური ანბანი გამოიგონეს. ამის გამო ჰფიქრობენ თურმე ხელ-ახლად გამოსცენ სომეხ ისტორიკოსთა და მემატიანეთა ნაწერები. ეპისკოპოსს სუკიას პარზიანს ამ საქმისთვის 15 ათასი მანეთი შეუწირავს.

◆ ტფილისს დაბრუნდა სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი კოვალენსკი, რომელიც ტიხორეცკში იყო ზოლოტოვის მოკვლის საქმის გამოსაძიებლად.

◆ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ტფილისში არსდება ამხანაგობა, რომელიც ადგილიდან ადგილზე სახლის ავეჯეულობის გადატანის საქმეს იკისრებს ტფილისში. ამ ამხანაგობას წესდება შეუმუშავებია და წარუდგენია კიდეც მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

◆ მოგვივიდა ჟურნალ „მოგზაურის“ მე-3 და 4 (ერთ წიგნად) ნომრები. შინაარსი ამ ნომრისა:

1) სულით ავადმყოფი მოსწავლენი, ივ. როსტომაშვილისა; 2) სწავლა-აღზრდის რეფორმატორნი: მონტენი, ა. ტატუნაშვილისა; 3) გუდის-ყური, ს. ქვარიანისა; 4) აღზრდა ადამიანის ხასიათისა, რობერტ ოუენისა, დ. ლ—ძისა; 5) წერილი სოფლის მასწავლებლების მიმართ, ერთი მასწავლებელთაგანისა; 6) მცირე შენიშვნა დიდ საქმეზე, დ. მაყლაიშვილისა; 7) მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ის. კვიცარიძისა; 8) ხეხილის გამრავლება და მოვლა, არჩ. დარჯუანშვილისა და ი. როსტომაშვილისა, სურათებით; 9) ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ალ. გვერკველაძისა; 10) ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჭერეთისა, ინგილო ჯანაშვილისა (დასასრული); 11) ქართული შაქრის ქარხნის დამაარსებელი იაკობ ზუბალაშვილი; 12) კახეთის რკინის გზა და ჩვენი პრესსა, დიზრაკდისა; 13) საქართველოს საეკლესიო ისტორია, ილ. ფერაძისა.

◆ ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის მოსწავლეთ ნამუშევართა საზოგადოებამ სთხოვა გუბერნატორს ნება-დართოს სატეხნიკო წიგნთ-საცავის დაარსებისა. გუბერნატორმა მოითხოვა შეატყობინონ, ვინ იქმნება წიგნთ-საცავის პასუხისმგებელი.

◆ პეტერბურგში გარდაცვალებულ ვაჟთა პირველ გიმნაზიის ინსპექტორის გვამს ტფილისს მოასვენებენ კვირას, 30 მარტს, და აქ დაასაფლავებენ.

◆ როგორც აღვნიშნეთ ამ დღეებში გადაიწვა მადრის თეატრის შენობა და საბაგშოვ ბაღი მიხეილის ქუჩაზე. ზარალი პატრონს გამოირკვა 5500 მან. თეატრი დაზღვეული ყოფილა 6,000 მან. რამდენადაც გამოირკვა, ცეცხლის გაჩენის მიზეზად ასახელებენ იმ გარემოებას, რომ ამ საღამოს თეატრში ხელის მოყვარეთ რეპეტიცია ჰქონიათ; შესაძლებელია გაუფრთხილებლობისა გამო სანთელი დარჩათ და ცეცხლი გაჩნდა.

◆ ამას წინად კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების გამგეობა შეეკითხა ქალაქის გამგეობას, შეეტყობინებინა გამგეობის ის დადგენილებანი, რომლის ძალითაც ჩვენი საზოგადოების მიერ გამოკვლეული ღორი ცნობილ იქმნა ტრიხინიანად და ხელმეორედ გარდაეცა გამოსაკვლევად ქალაქის საქიმიო ლაბორატორიას. რადგან ეს ცნობები საზოგადოების გამგეობას აქამდე არ მიუღია, გუშინ ხელ-მეორედ მიჰმართა და სთხოვა ჩვენი მოთხოვნილება განიხილოს და რაც შეიძლება მალე გამოგვიგზავნოთ ცნობებიო.

◆ 25 მარტს, საღამოს 3 საათზე, ჯერ გამოურკვეველ მიზეზისა გამო, ვერაზე სოფრონ სხირტლაძის საზაფხულო ბაღს „ბელ ვიუს“ ცეცხლი გაუჩნდა და გადაიწვა თითქმის სულ ყველა ხის შენობა. სხირტლაძეს შენობა დაზღვეული ჰქონია 26,000 მან. ცეცხლის გაჩენის მიზეზის გამოსარკვევად გამოძიება სწარმოებს.

◆ დღესთვის სამოსამართლო პალატაში, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: გიორგი მაჭავარიანისა, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდება; გლახა ბოდავლისა, რომელსაც კაცის მოკვლა ჰბრალდება და სხვ.

◆ მიხეილის ქუჩაზე ერთ დუქანში ჩხუბი მოუვიდათ ივანე არუთინოვსა (13 წლისა) და გაბრიელ ბურდინს (16 წლისა). ჩხუბის დროს არუთინოვმა დანით დასჭრა ბურდინი. დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. მორიგმა ექიმმა, რადგანაც ჭრილობა საშიში არ აღმოჩნდა, შეუხვია და გაჰგზავნა. შინ მისვლისას ბურდინი ძალიან ცუდად გახდა. მიწვეულმა ექიმმა დაჭრილი საშიშოდ იცნო ავად და მაშინვე საავადმყოფოში გაჰგზავნა. მეორე დღეს ავადმყოფი გადაიცვალა.

◆ სუდებნაია ქუჩაზე 24 მარტს ნადეჟდა ტერ-გრიქუროვისათვის ვიღაც ბოროტ-განმზრახველს მოუპარავს ძვირფასი ხალიჩა 500 მან. ღირებული. ეჭვი მიიტანეს შულავერის მცხოვრებს დიმიტრი ხოსროევზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

◆ 23 მარტს პუშკინის ქუჩაზე ვასილ ელიაზაროვის მაღაზია გაუტეხიათ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ და გაუტანიათ ფულად 45 მან. და ნივთები.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი. ორშაბათის სხდომაზე ბათუმის ქალაქის საბჭომ აირჩია: ქალაქის მოურავად ისევ თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი (18 თეთრი 15 შავი), გამგეობის წევრად ისევ გრ. ი. ვოლსკი (23 თეთრი 10 შავი) და საბჭოს მდივნად ისევ ივ. ს. მესხი (23 თეთრი 11 შავი). სხვა დასახელებულ კანდიდატებმა კენჭის ჩამოტარებაზე უარი განაცხადეს.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ დადგა გაზაფხული და იმატა სიცხემ და ქარ-მტვერმა. ხანდისხან ისეთი ქარი ამოვარდება, რომ ქუჩაში გავლა შეუძლებელია. ყველა ქალაქის გამგეობის საყვედურშია, რატომ ქუჩები არ ირწყებაო; ის კი, ვისაც ქუჩების მორწყვა აბარია, ყურსაც არ იბერტყს: ქუჩები რომ ვარწყევინო, ცხენები და კაცები დამელალებიან და, უცბად ცეცხლი რომ გაჩნდეს სადმე, თავისს ადგილზე ვეღარ მივლენ და ვერ იმუშავებენო. ამგვარი თავის მართლება, იქმნება, საფუძვლიანიც იყოს, მაგრამ ისიც მართალია, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმი მხოლოდ მაშინ მიდის ცეცხლის ჩასაქრობად, როდესაც შენობა კარგად დანაკვერცხლდება, რომ ნახშირი არ წაუხდინონ პატრონს. ეხლა, როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას ერთის საშუალებისათვის მიუმართავს და, მგონია, კიდეც მოეწყოს ქუჩების მორწყვის საქმე: ის ერთს კაცს ატარებინებს წიგნს, რომელშიაც ხელი უნდა მოაწეროს, ვისაც ჰსურს თავისის მამულის წინ ქუჩის მორწყვა, და აღნიშნოს აგრეთვე, ყოველ თვიურად რამდენის გარდახდას იკისრებენ ამ საქმისთვის. გამგეობა ჰფიქრობს, თუ მცხოვრებლებმაც დახმარება აღმოუჩინეს, თვითონ მოაწყოს ქუჩების მორწყვის საქმე. ჯერ ჯერობით, ვისთანაც ეს წიგნი ჩამოუტარებიათ, ყველას სიამოვნებით მოუწერია ხელი, ოღონდ მტვერში ნუ დაგვახრჩობთ და არაფერს დავიშურებთო.

◆ ქუთათურ ნოქრების კეთილ განზრახვათ საზღვარი არა აქვთ. სხვათა შორის უნდათ დააარსონ ქუთაისში ნოქრების ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოება, რომლის წესდება კიდეც გაჰგზავნეს სამინისტროში დასამტკიცებლად.

◆ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ქუთათური აგენტები მხნედ შესდგომიან საქმეს და ბევრი ახალი წევრი შეუძენიათ „საზოგადოებისთვის“. მათდა სასახელოდ მღვდლები და ნოქრები ბლომად ეწერებიან თურმე წევრებად. ვაჰრები ნეტავი რას-ღა უყურებენ?!

◆ სადორიის აგარაკში საძოვარ ადგილების გასაყოფად დანიშნულია ვაჭრობა 26 მარტისთვის.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „კურსკის გაზეთი“ გადმოგვცემს, კურსკის სახელოსნოების შეგირდებს საერთო თხოვნა გადაუციათ გუბერნატორისათვის, ჩვენს სახელოსნოებში სამუშაო დრო შეამცირეთო. ეხლა 12 საათია მუშაობა, თხოულობენ, 10 საათი დაწესდესო. ამ დროში სადილი და შესვენებაც უნდა ჩაითვალოს. ეხლა ადგილობრივ სახელოსნო გამგეობას აზრადა აქვს მოახდინოს კრილობა სახელოსნოების პატრონებისა იმათ აზრის გასაგებად ამ საქმის შესახებ.

◆ ფინლიანდიაში ხუთის გაზეთისთვის კიდევ გამოუცხადებიათ გაფრთხილება უმაღლესის მანიფესტის (26 თებერ.) უკანასკნელ გვერდზე დაბეჭდვისათვის. სულ ასეთი გაფრთხილება 14 გაზეთს გამოეცხადა.

◆ ვილნოში, როგორც ადგილობრივი ოფიციალური გაზეთი გადმოგვცემს, ებრაელებს გენერალ-გუბერნატორის მიერ გამო-

---

ფელეტონი

საზოგადოებრივი პიესები იბსენისა

(შემდეგი *)

> ან ყველაფერი, ან არაფერი!
>
> იბსენი.

ამგვარად იბსენის ზნეობრივ-საზოგადოებრივი პროგრამაა: ყოველმა კაცმა ჯერ უნდა განივითაროს თავისი პიროვნება და მერე უნდა ემსახუროს საზოგადოებას. იგი მიმართავს ინდივიდებს და მათგან მოითხოვს კულტურის შემოტანას ცხოვრებაში; მხოლოდ ჭეშმარიტი კულტურის შემოტანა შეუძლია მას, ვინც ყველაზე უწინარეს თვითონ არის კულტურის მქონე, არის პიროვნება.

პიროვნების განვითარება პირველი საგანია ადამიანის. პიროვნების განვითარება-კი საკუთარის თავის გამოაშკარავებაა, მუდმივი ცხოვრება საკუთარის პიროვნების თანახმად. პიროვნებასთან ერთად თანდაყოლილი აქვს ყველას თავისი მოწოდება, მისია, რაიც იგივეა, რაც პიროვნება, რადგან ვინც ცხოვრობს თავის პიროვნების თანახმად, იგი თავის მისიისაკენ მიისწრაფვის, თავის მოწოდებას ახორციელებს. როგორცა ვსთქვით წინად, დიდებულია ის ადამიანი, რომელიც თავის პიროვნებას არ უღალატებს, შეიგნებს თავის მოწოდებას და ივლის ამ მოწოდების მიერ ნაჩვენებ გზით. იბსენის გმირები უბედურნი არიან, როდესაც სცდებიან საკუთარს გზას: მაშინ მათი ცხოვრება დაღუპულია და, თუ დროებით შეუძლიათ თავიდან აიცილონ განსაცდელი, ბოლოს მაინც ყალბი ცხოვრების ნაყოფი თავს წამოაწყდება და დაუმსხვრევს მათ მყუდრო არსებობას. ფრუ ინგერის („ფრუ ინგერი ესტროტელი“) გარშემო შემოკრებილნი იყვნენ ნორვეგიის მამულიშვილები, იგი უნდა გაძღოლოდა მათ და გაეთავისუფლებინა დამონებული სამშობლო დანიის ბატონობისაგან. ფრუ ინგერი ამის მაგიერ უფრო საკუთარ ინტერესებზე ჰზრუნავს, თუ როგორ მოუპოვოს ტახტი თავის შვილს, მაგრამ ვერ მოახერხებს ამას და შეიქნება საკუთარის შვილის მკვლელი. „ჩემი მოწოდება იყო, თავისუფლება მომეპოვებინა სამშობლოსათვის!“ ამბობს ფრუ ინგერი. მისი მისია იყო, სამშობლოს სიყვარული და სიძულვილი დანიისადმი. მაგრამ მან უღალატა თავის მოწოდებას პირადულ, დედის სიყვარულისათვის, და კიდეც დაიღუპა ამის გამო. ასეთივე ბედი ეწვია იმპერატორს იულიანეს („იმპერატორი და გალილეველი“), რომელმაც ვერ გაიგო თავისი მოწოდება. მოწოდებული იყო ქრისტიანობის განსაახლებლად, რომლისათვის უნდა აღმოეჩინა დახმარება და გაეწია სამსახური, მხოლოდ იგი წინააღუდგა მოწოდებას და ძლეულ იქმნა გალილეველთან ბრძოლაში. რუბეკის მოწოდება იყო შეერთებოდა ირენას, მაგრამ უკუაგდო მისი სიყვარული და ცოცხლად დაიმარხა თავი („როდისღა აღვსდგებით მკვდრეთით“). ზოგიერთ გმირებს გამოაფხიზლებს რაიმე უბედური შემთხვევა, მაშინ შეიგნებენ თავის პიროვნებას, დაინახავენ თავის მისიას, უარჰყოფენ წარსულს და შეუდგებიან განახლებულს ცხოვრებას. ასე მკვდრეთით აღსდგა რუბეკი. ასე დაჰგმობს თავის სიყალბით გამსჭვალულ ცხოვრებას კონსული ბერნიკი („საზოგადოების ბურჯნი“), გაიძვერა მატყუარი, რომელმაც საყვარელი ქალი გაყიდა ფულისათვის, საჯაროდ დაამცირა თავისი მეგობარი გამორჩენისათვის, რომელიც ყველას ძარცვავს და საზოგადო საქმეს ისე უყურებს, როგორც სათალ ლუმას; რომელმაც ცოლი შეირთო მხოლოდ სიმდიდრისათვის და რომელსაც ამასთანავე მოპოვებული აქვს შესანიშნავი საზოგადო მოღვაწის, მეტად პატიოსანის და სამაგალითო მეოჯახის სახელი.

ქ. ალვინგმა ყურადღება არ მიაქცია სიყვარულს, საზოგადოების ხმას დაუჯერა, ცოლად გაჰყვა უზნეოსა და ავადმყოფს კამერჰერს და ამის ნაყოფი იყო ავადმყოფი შვილი და მისი ჯერ ზნეობრივი და მერე ფიზიკური სიკვდილი დედის თვალებს წინაშე. ბრმა ნორა რამდენსამე წელიწადს ცხოვრობდა ქმართან და იმდენად დამონებული იყო მისი პიროვნება, რომ ერთხელაც არ მიუცია თავისათვის კითხვა: რა იყო მისის ცხოვრების დანიშნულება? მხოლოდ ერთმა უბედურმა შემთხვევამ აუხილა თვალები, იპოვნა თავისი თავი, დაინახა, რაც იყო ამდენხანს და რაც უნდა ყოფილიყო, და სიმტკიცით და ძალით აღსავსე ეუბნება ქმარს: „მე ეხლა ვხედავ, რომ ისეთივე ადამიანი ვარ, როგორიც შენ, და თუ არა ვარ, უნდა ვეცადო, რომ შევიქნე ადამიანი!“. ნორა კიდეც შეუდგება ამ დიდებულ მისიის განხორციელებას.

იბსენს ერთი საყვარელი გმირი ჰყავს, რომელმაც შეიგნო თავისი მოწოდება, მხოლოდ მას ემსახურებოდა და ამისათვის იყო ბედნიერიც და სახელოვანიც. ესაა გაკონი „ტახტის მაძიებლებში“. მუდამ თვალ-წინ უდგია მოწოდება, რომელიც არის მისი დროის უდიდესი იდეის განხორციელება — რომ ყველა მისი სამეფოს თემები და ტომები შეერთდნენ და შეიქმნენ ერთის ერის წევრნი; ამ მოწოდებას მიჰყვება კვალ-დაკვალ შეუპოვრად; ღრმად სწამს თავისი იდეა და რწმენა უორკეცებს ძალ-ღონეს. ვერავითარი დამარცხება ვერ შეარყევს მის განზრახვას და მიდის წინ, სულ წინ და, ადრე თუ გვიან, გამარჯვება მაინც მისია.

თავის მოწოდების სამსახურს შეაკლა თავი ბრანდმა (ამავე სახელის პიესა), რომელიც შესანიშნავია იმით, რომ გვიხატავს იბსენის შეხედულებას პიროვნების შესახებ სხვა მხრივ: პიროვნების აუცილებელი თვისებაა ნების სიძლიერე. თავის მოწოდების შეგნება და მისი განხორციელებაა პიროვნების მიზანი, მაგრამ ამ მიზანს უნდა ესწრაფვოდეს პიროვნება სტიქიურის ძალით, უკომპრომისოთ, უკან-დაუხეველად. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სრული პიროვნება.

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2101.

ცემული სავალდებულო დადგენილებანი დაურღვევიათ. ამისთვის 82 კაცისა და ქალისთვის ორისა და სამის თვით დაპატიმრება გადაუწყვეტიათ. დაპატიმრებულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ.

ტფილისის «მამათა» დარბაზიდან

ტფილისის ტრამვაის გამგე კომისიის თავისს თავმჯდომარედ დაუსახელებია წინადაც თავმჯდომარედ ყოფილი ი. ა. სულხანიშვილი და საბჭომაც, 24 მარტის კრებაზე, იგივე აირჩია ამ თანამდებობისათვის.

1896 წელს ქალაქის საქმეთა საკრებულოს ქალაქის სავალდებულოდ უცვნია ტფილისში დაბინავებულ ჯარებში ვადაზე ზედმეტს ნამსახურ უნტერ-ოფიცრებისათვის ბინის დასაქირავებლად ხარჯები გამოეღო და გამგეობასაც მიუცია სამხედრო დაწესებულებისათვის ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად 16.583 მანეთი და 72 კ., და იმავე დროს, საბჭოს დადგენილების თანახმად, საკრებულოს დადგენილება სენატში განუსაჩივრებია. სენატს უკანონოდ უცვნია საკრებულოს დადგენილება და ქალაქი ვალდებულად არ უცვნია ამისთანა ხარჯების გამოღებაში. შარშან ქალაქის თავის მოადგილეს სახაზინო პალატისათვის უთხოვნია იმ 16.583 მან. და 72 კ. უკან დაბრუნება ქალაქისათვის, მაგრამ პალატას არ შეუსრულებია ეს მოთხოვნილება, რადგან საბჭოს დადგენილება არ მოუხდენია სწორედ ამის შესახებაო. გამგეობა ითხოვდა და საბჭომაც დაადგინა, ვსთხოვოთ გუბერნატორს, სამხედრო უწყებამ ზემო-აღნიშნული უკანონოდ წაღებული ფული კუთვნილებისამებრ ისევ ქალაქს დაუბრუნოსო.

საუქციონო ზალის გამგეს ბ-ნ ასლამაზოვს ვადა გაუვიდა სამსახურობისა. ორშაბათის კრებაზე ქალაქის მოურავის მოადგილემ მ. შესტაკოვმა მოახსენა საბჭოს, რომ ეხლანდელის გამგის გარდა ამ თანამდებობის მთხოვნელია კიდევ სტ. სოვ. თავ. ი. ანდრონიკაშვილიო; თან ისიც აუხსნა საბჭოს, რომ ბ-ნ ასლამაზოვმა თავისი საკუთარი ცენზი დაჰკარგა და ახალი ჯერ არ შეუძენიაო. ბევრმა ის გარემოება აღნიშნა, რომ ბ-ნი ასლამაზოვი დიდი ხნის ნამსახურია, მივსცეთ ვადა, იქმნება ცენზი შეიძინოსო. წამოდგა წევრი გამგეობისა, თავ. ვ. ჩერქეზიშვილი და მოახსენა საბჭოს: მართალია, ასლამაზოვმა ცენზი დაჰკარგა, მაგრამ ახალი შეიძინა და ამის მოწმობაც აქ გახლავთ საქმეშიო. ხმ. თავ. დ. თუმანოვმა გაცხარებითა და მწუხარებით აღნიშნა საქმეში ასეთი დაუდევრობა თავმჯდომარისა და ითხოვდა, რისგან წარმოსდგა, რომ ასლამაზოვს ცენზი ჰქონია და საბჭოს-კი სხვას ეუბნებიანო. ისევ თავ. ჩერქეზიშვილმა ახსნა, რომ ცენზის მოწმობა დღეს მოუტანია ასლამაზოვს და პირ-და-პირ კანცელარიაში წარუდგენია, ასე რომ გამგეობამ არც-კი იცოდა ეს ამბავიო. ბევრის საყვედური მოისმინა გამგეობამ და ბოლოს საბჭომ შემდეგ კრებამდე გადასდო საუქციონო ზალის გამგეს არჩევანი.

ხმ. ა. ბაპოვს დიდი ხანია განცხადება ჰქონდა შეტანილი გამგეობაში—ეკითხებოდა, რა მდგომარეობაშია წყლისაყვანის მეორე მილის გაკეთების საქმეო. ორშაბათის კრებაზე გამგეობამ მოახსენა საბჭოს ამ მეორე მილის გაკეთების ამბავი, რომელიც მოკლედ ასე გამოიხატება: ათ წელიწადზე მეტია იმის ზრუნვაშია ქალაქი, რომ მცხოვრებნი წყლის მხრით უზრუნველ იქმნენ, მაგრამ არა მოხერხდა რა, რადგან თვით საბჭოს არ უჩვენებია გამგეობისათვის გზა-კვალი და საშუალებანი ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლადაო. ამისათვის კარგი იქმნება საბჭომ განსაკუთრებული კომისია აირჩიოს, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლოს ჩვენი წყლისაყვანისა და ამის უფრო ფართოდ დაყენების საქმე და დასაბუთებულად საბჭოს მოახსენოს შემუშავებულ პროექტის განსახორციელებლადაო.

ბევრი საყვედური ესმა გამგეობას ამ საღამოს, თუ იმიტომ, რომ ასე უყურადღებოდ გდია წყლისაყვანის გაუმჯობესობის საქმე, თუ იმიტომ, რომ მცხოვრებნი წყალსა კი არა, ტალახსა სვამენ ქალაქის მილებისაგანაო. ხმ. ს. მირზოევი, ა. ღულაძე დაჟინებით ეკითხებოდნენ გამგეობას, როდის მოეღება ბოლო ეხლანდელ მდგომარეობას და როდის ეღირსება მცხოვრებთ სუფთა წყალიო, მაგრამ გამგეობის წევრმა ტ. ენფიანჯიანცმა სრული უიმედობა გამოუცხადა ამ მხრივ საბჭოს, რადგან ავჭალის წყაროები ცოტას იძლევიან წყალს ღ ქალაქს კი ბევრი წყალი უნდება და მტკვარი თუ არ დავახმარეთ—შეუძლებელიაო. რადგან ყველა დარწმუნდა, რომ გამგეობა ამ საქმეში ჯეროვან საქმიანობას ვერ იჩენს, ერთხმად დაადგინა საბჭომ: ხმ. ტეხნიკოსთაგან ცალკე კომისია იქმნეს არჩეული და დაევალოს ქალაქის წყლისაყვანის თვალ-ყურის გდება და იმის ზრუნვა, რომ მცხოვრებთ საკმაო და კარგი წყალი ჰქონდეთ მუდამ.

დასასრულ საბჭოს მოხსენდა გამგეობის მოხსენება სიფილისით ავადმყოფ ვაჟებისათვის დროებით საავადმყოფოს გახსნის შესახებ. ამას წინად მოედნის უბნის ყავახანებში პოლიციას ოცამდე ბიჭი დაუჭერია, როცა ღამე ჩამოუვლიათ ეს ადგილები და ყველა ეს ბიჭები სიფილისით იმდენად ავადმყოფნი აღმოჩენილან, რომ შეუძლებელად გამხდარა მათი განთავისუფლება. პოლიციას ქალაქის სასანიტარო-საექიმო დაწესებულებისათვის მიუმართავს; ამასაც ქალაქის გამგეობასთან ერთად გადაუწყვეტიათ და დროებითი საავადმყოფო გაუხსნიათ, სადაც ეს გარყვნილი ბიჭები დაუბინავებიათ. ამ საავადმყოფოზე ჯერ-ჯერობით დაჰხარჯვიათ ორმოცამდე თუმანი, დასჭირდებათ კიდევ ორის თვითა (მხოლოდ ამ ვადით იქმნება საავადმყოფო გახსნილიო—ამბობს გამგეობა) ორჯერ ამდენივე და ამის კრედიტს სთხოვდა გამგეობა საბჭოს.

საბჭომ დაამტკიცა გამგეობის მოხსენება და ნათხოვარის კრედიტის ხმარების ნება დართო, თუმცა ხმ. ევანგულოვი წინააღმდეგი იყო ამისა: ნუ მივცემთ გამგეობას იმის უფლებას, რომ ჩვენდა დაუკითხავად ფული დახარჯოსო

თეატრი

ქართული წარმოდგენა. „მედეა“ ნორას გვარი პიესაა. აქაც და იქაც ბრძოლაა ქალის უფლებისათვის, მაგრამ ბრძოლა საშინელი, როგორიც შეჰფერის მედეასთანა ტიტანისებურ არსებას, შეურყეველის ენერგიისა და რკინის ხასიათის პატრონს.

მედეამ ძლიერის სიყვარულით შეიყვარა იაზონი, რომელიც გამეფდა მისს გულში. იმის გულისათვის მედეამ დაივიწყა მამული, მამა, ნათესავები, თავისი ღმერთები. მაგრამ იაზონს მძიმედ ეჩვენა მედეას სიყვარული, რომელიც ტოლ-ამხანაგად გაუხდა ქმარს. „არ შეჰფერის მამაკაცს ცოლი შემწედ ჰყავდეს თავისს საქმეებშიო—ამბობს იაზონი: ქალს არ უნდა ჰქონდეს ნება უთხრას ქმარს: მე დავეხმარე ამ საქმეში. ცოლს მეგობრად, ტოლად რაკი მიიჩნევ, მშვიდობით მაშინ მყუდროებავ, ოჯახის წესოო“! იაზონს უნდა ცოლი—ნაზი არსება, ბავშვი, ტკბილის ენით ქმართან მოალერსე, მისი გამგონე, მორჩილი მონა. სულ სხვაა მედეა: იგი ამაყობს იმით, რომ ქმრის სწორია. „არაფერში არ ჩამოვრჩენივარ იაზონსო“, ამბობს მედეა. ეს განსხვავება იაზონის და მედეას დრამა.

მედეა იბრძვის ქალის მამაკაცთან გათანასწორებისათვის. ჰხედავს ქალის მწარე მდგომარეობას, რომელსაც ყველაფერი წაართვეს მამაკაცებმა, და ასეთის საყვედურით მიჰმართავს მეფეს: „თავისუფალი არის ქმარი; იგი ჰმართავს ერს, მოქალაქეა, კანონმდებლობს; ოჯახში, გინდ მოედანზე სარბიელი ყველგან გაშლილი აქვს. ქალისათვის ერთია სარბიელი. იგია—გული“.., უნდათ მედეას ეგ გულიც წაართვან; მაგრამ „იგი არავის არ დაუთმობს თავისს უფლებას. საშინლად შურს აგებს მოწინააღმდეგეს, ხოცავს შვილებს, რომ არ ჩაუგდოს ისინი იაზონს ხელში და თავს იკლავს თვითონაც. მედეას ან უნდა დაებრუნებინა უფლება, ან უნდა მომკვდარიყო. იგი იღუპება ბრძოლაში.

მშვენიერად შეუგნია ქ-ნ ჩხეიძეს მედეას ბუნება. თავიდანვე შესაფერი ტონი აიღო და პირველისავე სიტყვებითვე გვაგრძნობინა: ვაი იმას, ვინც მე წინ გადამეღობებაო, მისი სახე და მისი ხმა ერთმანეთს შეეფერებოდა; ეს სახე სასტიკი იყო და ხმა, თუმცა არ იყო ძლიერი, მაგრამ გამსჭვალული იყო სიმტკიცით და ენერგიით. უეჭველია, მედეა საუკეთესო როლია ქ. ჩხეიძისა. ასე სავსებით იგი ვერც ერთს პიესაში ვერ თამაშობს; მას რომ უფრო დიდი ტანადობა ჰქონდეს და ხმაც უფრო ძლიერი, შეუდარებელი მედეა იქმნებოდა, მაგრამ დღევანდელ პირობებშიაც დიდს და სრულს, ერთიანს შთაბეჭდილებას ახდენს. ქ. ჩხეიძემ საზოგადოება პირველი სიტყვებითვე გაიტაცა, როდესაც ფილოკტეტს ეუბნება, ჩვენი სახელი „უბედურნი“ არისო. ეს გატაცება თანდათან გაიზარდა და ბოლოს გადაიქცა საერთო აღტაცებად.

ბ. გუნია ვერ იყო შესაფერი მეფე, იგი თავის საგენერლო ულვაშებით საშუალო საუკუნოების გერმანელს წინამძღოლს მთავარს უფრო მოგვაგონებდა. ბ. სვიმონიძე—იაზონი ნამეტანის დრამატიულის კილოთი ლაპარაკობდა. კარგი იყო ბ. გედევანოვი (ფილოკტეტი), რომელმაც ცოცხალი ტიპი დაგვიხატა ძველის ბერძნისა..

სასურველია, რომ „ნორასა“ და „მედეასთანა“ პიესები ხშირად წარმოადგინოს ჩვენმა დასმა. ერთმაც და მეორემაც ძლიერ დააინტერესა საზოგადოება და დიდი ლაპარაკი გამოიწვია. და თეატრის დანიშნულებაც ეს არის, რომ არამც მარტო სასიამოვნო შთაბეჭდილება იქონიოს მაყურებელზე, გაართოს, არამედ შეანძრიოს მიძინებული გონება და აღუძრას ახალი აზრები. თეატრში ძლივს ეტევოდა საზოგადოება. **გ.**

ქუთაისი. შაბათს, 22 მარტს, კ-ნის გ. წუდუკიძის თაოსნობით ადგილობრივ სცენის მოყვარეთ, სათავად-აზნაურო სკოლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ, წარმოდგენილ იქმნა ავქ. ცაგარლის კომედია „ხანუმა“ და რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“. მონაწილეობას იღებდა საგანგებოდ მოწვეული ჩვენი საუკეთესო მსახიობი-ქალი ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, შეუდარებლად შეასრულა ხანუმას როლი. „ხანუმა“-ში კარგად ითამაშეს აგრეთვე ქ-ნმა ქავთარაძისამ (სარა, სონას დედა) და ბ-ნმა შროშელმა (ტერტერაანთ აკოფა), მხოლოდ უკანასკნელს ცოტა არა ბუნებრიობა კი ეტყობოდა სიცილის დროს. მეორე კომედიაშიაც ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ ხელოვნურად შეასრულა ელისაბედ შუბლაძის როლი. მას ხელს უწყობდა ბ-ნი გოცირიძე (ოსეფ შატბერტოვი). წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად და მხიარულად ჩაიარა. თეატრი სავსე იყო. წმინდა შემოსავალი 420 მანეთამდის დარჩა. დიდი მადლობა ეკუთვნით როგორც წარმოდგენის მოთავეთ, ისე სცენის მოყვარეთ, რომ ღარიბ მოზარდ თაობას არ ივიწყებენ; განსაკუთრებით დიდი მადლობის ღირსნი არიან ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ბ-ნი გოცირიძე, რომ ტფილისიდან

იბსენი კი იმგვარივე შეურიგებელი მტერია ნახევარ-პიროვნებისა, როგორც ყოველგვარ პიროვნებას მოკლებულ ადამიანებისა. „უმჯობესნი არიან ურწმუნონი, ვიდრე ნახევრად მორწმუნენიო“, ამბობს ბრანდი და ეს არის იბსენის აზრიც. ძლიერი პიროვნება იგია, ვისაც ძლიერი ნება აქვს.

ბრანდი განხორციელებული პროტესტია იბსენისა თავის თანამემამულეთა წინააღმდეგ. იყო დრო, როდესაც ნორვეგიელები გულადად და ხმა მაღლა ყვიროდენ: სკანდინაველებმა ერთმანეთს უნდა ხელი გავუწოდოთ და შევერთდეთო. მაგრამ, როდესაც საქმეზე მიდგა, გერმანიამ ომი გამოუცხადა დანიას და უკანასკნელი განსაცდელში ჩავარდა; მაშინ ნორვეგიამ უცებ ხმა გაკმინდა და კუნჭულში მიიმალა. იბსენს გული მოუკლა ასეთმა ლაჩრობამ. ბრანდი შემკულია იმ თვისებებით, რასაც მოკლებულნი იყვნენ ნორვეგიელები. იგი სრული ადამიანია და დაჯილდოვებულია ღვთიურის ნებით, რომელიც ვერავითარს ძალას ვერ მოუხრია დედამიწაზე. „შენ გეპატიება, რაც არ შეგიძლია, ამბობს ბრანდი: მაგრამ შენ არ გეპატიება ის, რაც არ გინდა“. მხოლოდ ნებას შეუძლია მოუკლას ადამიანს მუდმივი სამართლიანობის წყურვილი. ბრანდი მღვდელია და გატაცებულია მაღალის აზრებით: უნდა აღზარდოს კაცობრიობა და ჩაუნერგოს გულში პიროვნების თავგამოდებული სიყვარული. ასწავლის სოფლელებს მოვალეობის სასტიკს მოძღვრებას, ურჩევს მათ ყველაფერი დასთმონ, უარჰყონ ცოლი, ქმარი, შვილი, სიამოვნება და გაჰყვენ მას, რომელიც წაუძღვება მათ ცისკენ და მიიყვანს ღმერთთან: მუდამ უნდა იბრძოლოთ, აიტანოთ ყოველნაირი გაჭირვება, გამოიღოთ ყოველივე მსხვერპლი და დღე-ღამე უნდა ვიაროთ წინ, წინ იდეალისაკენ. სასტიკია ბრანდი და სასტიკია ის ღმერთი, რომელსაც ემსახურება. ეს არ არის მოწყალების და შეწყნარების ღმერთი, არამედ ებრაელთა ღმერთია, მრისხანე, შეურიგებელი, არა მპატიებელი, შურის მგებელი იეღოვა! „ყველაფერი, ან არაფერიო!“ ეუბნება ბრანდი თავის მოწაფეებს. ხალხი ჯერ გატაცებულია ბრანდის იდეალურ მისწრაფებით, ყველაფერს დასთმობს და მიჰყვება მას. მაგრამ დაქანცული და დატანჯული მალე ეკითხება თავის წინამძღოლს: როდის-და გათავდება ეს ტანჯვა და ბრძოლა, როდის-და მივაღწევთ საგანს? —„ბრძოლა მუდმივი იქმნება და გაუთავებელიო!“ უპასუხებს ბრანდი, რადგან მუდმივია იდეალისაკენ მისწრაფება და ადამიანი ნამდვილად ვერასოდეს ვერ მოიპოვებს მასო. ხალხი დაიწყებს ყოყმანობას და როდესაც ყოველგვარ იდეალს მოკლებული ფოხტი ერთ ურემ თევზს ჰპირდება მშიერ სოფლელებს და ურჩევს მათ, თავი დაანებონ „სისულელე“-ს, ყველანი მიატოვებენ ბრანდს და დაუბრუნდებიან თავის სახლ-კარებს. ბრანდი მაინც განაგრძობს იდეალისაკენ მისწრაფებას და ჰკვდება ამ იდეალისათვის.

ბრანდის ნების სიძლიერე და სრული პიროვნება ყველაზე უფრო გამოიხატება ორს საქციელში. ბრანდს ჰყავს ავადმყოფი შვილი; ექიმები ურჩევენ გადასახლდნენ სხვაგან, ჰაერი გამოიცვალონ და ბავშვი მორჩებაო. მაგრამ ბრანდს არ შეუძლიან დასტოვოს ეს ადგილი და არ შეასრულოს მოვალეობა, რომელიც იკისრა სოფლელების წინაშე. მან უნდა გასწიროს შვილი, ამ მსხვერპლს თხოულობს ცოლისაგანაც. შვილი ჰკვდება; დედა შვილის მოგონებით ცხოვრობს და მის ტანისამოსს ინახავს, როგორც კერპს რასმე. ბრანდი, რომლის დევიზია: ყველაფერი, ან არაფერი—თხოულობს, რომ სრული მსხვერპლი გამოიღოს ცოლმა, მთლად დაივიწყოს შვილი და მისი ტანისამოსიც მათხოვარს აჩუქოს.—ბრანდის დედა ავათაა და ზიარებას სთხოვს შვილს, მაგრამ ბრანდი მოსთხოვს, ჯერ დასთმე ყველა ის სიმდიდრე, უკანასკნელი ოქროც, რომლისათვის გათხოვდი, და მაშინ გაზიარებო. ძუნწს დედას ეს არ შეუძლიან და უზიარებელი ჰკვდება. —ბრანდთან ერთად იბსენს დახატული ჰყავს მეორე მღვდელი და ფოხტი, რომლებიც იმას სცდილობენ მარტო, რომ ყოველი მაღალი მისწრაფება მოუკლან ადამიანს, ყველას ერთი ფერი მისცენ და ერთ ცხვრის ფარად გადააქციონ, რომელთაც საკუთარი არც პიროვნება აქვთ, არც ნება: სახელმწიფოს იარაღები, მონები არიან და ასეთ მონებად უნდაა შექმნან ყველანი...

თუ ბრანდში იბსენმა დაგვიხატა სრული პიროვნება, მთელი ადამიანი, ტიპი ისეთის თვისებებით, რომელთაც მოკლებულნი იყვნენ მისი თანამემამულენი, პეერ გიუნტი პირიქით ნამდვილი სახეა ნორვეგიელისა: ეგოისტი, პიროვნებას მოკლებული ადამიანი, რომელიც მუდამ ატყუილებს თავის თავსაც და სხვებსაც და რომელიც არასოდეს არ არის ერთგული საკუთარის პიროვნებისა. ლოთი, მოჩხუბარა პეერი ერთს ქორწილზე ქალს მოიტაცებს, გააუპატიურებს; მერე გადავარდება მთებში, სხვა-და-სხვა ქვეყნებში დაეხეტება, ჰყიდის თავის პიროვნებას, გამოჩენისათვის ყველაფერს ჰთმობს, მუდამ კომპრომისებით სცხოვრობს, ეძებს, სად რამე სიამოვნება ჰნახოს და განცხრომას მიეცეს. „პეერ გიუნტი„ სიმბოლიური პიესაა. საყურადღებოა შიგ ერთი სცენა გიჟების სახლში კაიროში, რომელიც გვიმტკიცებს, რომ საგიჟემდის მიიყვანს ადამიანს ეგოისტური სურვილები. პეერს აღიარებენ გიჟების თავად, როგორც „მეფეს ეგოიზმისას“ და შეამკობენ თავის გვირგვინით. ძლიერ გვიან, მხოლოდ მაშინ, როდესაც სიკვდილი კარს მიადგება და ეშმაკი ემუქრება, შეიგნებს პეერი, რომ თუმცა უკიდურესობამდის გაანვითარა ეგოიზმი, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა საკუთარი პიროვნება, იყო მხოლოდ ნახევარი ადამიანი და ამიტომ არარაობა.

გალამი

(შემდეგი იქნება)

ჩამოვიდნენდა უსასყიდლოდ მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში.

—

კვირას, 23 მარტს, ადგილობრივმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ბალანჩივაძის მეთაურობით წარმოადგინა შირვზადეს ქუთაისის სცენაზე კომედია „მტერ-მოყვარე ძმები" და ვოდევილი „ხოლუგერობა". თუმცა თეატრი ცარიელი იყო, მაგრამ მსახიობებმა გული მაინც არ გაიტეხეს და 10 საათზე დაწყებული წარმოდგენა $1^1/_2$ საათზე გაათავეს. კომედიამ, იმისდა მიუხედავად, რომ მსახიობები, ორიოდეს გარდა, რადაც არაჩვეულებრივის მსუქან ასოებით იყვნენ გამოჭიმულნი პროგრამაში, მკრთალად ჩაიარა. არა უშავდა რა ორიოდე სცენას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ-ნ გურულს (იაკობის როლს ასრულებდა) თანდათანობით ეტყობა სასცენო ნიჭი: სცენაზე თავს თავისუფლად უჭირავს, როლი თითქმის ყოველთვის კარგად იცის და ხმაც ხელის შემწყობი აქვს. ვოდევილმა „ხოლუგერობამ" მხიარულად ჩაიარა; ბ-ნ ბალანჩივაძისა (ოთარ რეტიანი) და ზაზიაშვილის (ალაბალი-მარზა-ული-ისკანდერი-ოღლი-შამხალ-ხოხორი) მოხდენილმა თამაშმა ბევრი აცინა საზოგადოება.

დონ-გილიანი.

—

როგორც შევიტყეთ, ავლაბრის სახალხო თეატრში (ნ. ნ. მურაშკოს შენობაში) ნაადდგომევს ავლაბრის ქართველ სცენის მოყვარეთაგან გამართება წარმოდგენა გიგო გელიკურაშვილის სადღესასწაულოდ. ბ. გელიკურაშვილი ოცს წელიწადზე მეტია (1881 წლიდან) რაც უსასყიდლოდ მონაწილეობს სახალხო წარმოდგენებში, ტფილისსა და პროვინციაში. ბ. გელიკურაშვილი ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ავჭალისა და ავლაბრის სახალხო თეატრებში იღებს მონაწილეობას. იმედია, საზოგადოება და ის ხალხი, რომლისთვისაც გელიკურაშვილი უანგაროდ მუშაობდა და მუშაობს, თანაგრძნობით მოეპყრობა ამ სახალხო სცენის მუშაკს.

—

ბალახანი. 23 მარტს, კვირას, ბალახანის საქველმოქმედო საზოგადოების „აუდიტორიაში" ქ-ნ ეფემია მესხის რეჟისორობით ქართველ სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა კომედია „ბაიყუში". წარმოდგენამ უფერულად ჩაიარა; კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები მხოლოდ ქ-ნ დ-ძისამ და ბ. გამრეკელმა, თუმცა იმათაც ეტყობოდა როლის უცოდინარობა. დანარჩენებზე არაფერი გვეთქმის საყვედურის მეტი, რადგან სრულებით არ იცოდნენ როლები. ბ. ჩიგაძე თამაშობდა რევაზ თავქარიანის როლს; ეტყობოდა, თუ მოინდომებს, შეუძლიან კარგად ითამაშოს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მონდომება—სურვილი არ არის. თალიკოს როლს ასრულებდა ბ-ნი ჩ-ძისა, რომელსაც ეს როლი სრულებით არ შეეფერებოდა. თვით ქ-ნმა, ე. მესხმა წაიკითხა ლექსი „ჩიტი" აკაკისა. საზოგადოდ პატივცემული მსახიობი ლექსებს კარგად კითხულობს, მაგრამ ამ საღამოს, ალბად, შემთხვევით მოუხდა ლექსის წაკითხვა (აფიშაზე არ იყო გამოცხადებული), ზეპირად არ იცოდა და ვერ დაგვაკმაყოფილა. ხორომ კარგად იმღერა, სხვათა შორის „ქართველო, ხელი ხმალს იკარ,"..., რომელიც განმეორებულ იქმნა. „აუდიტორია" სავსე იყო ხალხით. მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ე. მესხი და ელ. ლორთქიფანიძისა წარმოდგენის გამართვისათვის.

ევგენი ტასიკაშვილი

დაბა-სოფლები

—

ვარდისუბანი (კახეთი). რადგანაც ჩვენ სოფელს (399 კომლია) საკმაო სახნავი მიწა არა აქვს, მცხოვრებნი იძულებულნი ჰხდებიან შორს წავიდნენ, მისცენ მიწის დალა, მოსთესონ, მომკონ და მოიტანონ. სიშორე არ დაადონებს აქაურს, რომ მდინარე ალაზანს გაღმა იშოვებოდეს სახნავი მიწები, მაგრამ გაღმა, საერთოდ, მიწების სისუსტე და მომეტებულ ნაწილად მდინარე ალაზნის გაღმა ჰხნავენ. ბევრჯელ ალაზანი ისე ადიდდება, რომ რამდენისამე კვირით შეუძლებელია გასვლა. ტოტაძენი სახნავი სოფლელთ გაღმაც ჰქონდა, მაგრამ ეხლა იმასაც უნდა გამოეთხოვნენ: 17 მარტს იყო მაზრის უფროსი, რომელმაც გამოაცხადა, რომ სოფლელმა მიწები უნდა დაუთმოს ჯარის კაცთ სასროლად და სავარჯიშოდ. შემდეგ გაიყვანა მამასახლისი, ნაცვალი, ოცამდის კაცი და ზომვა დაიწყეს ხოფ. კურდღელაურის მიჯნიდან. დაზომვის შემდეგ უბრძანა მამასახლისს, მეორე დღეს წაეყვანა რამდენიმე კაცი სხვა-და-სხვა სოფლებიდან და დაეფასებინათ.

ცივის-კალთელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 მარტი

ორიოლი. სამხრეთისაკენ მიმავალმა დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხეილის ძემ გზად გაიარა ორიოლზე.

კასსინო. მსუბუქად მიწა იძრა აქ.

სან დომინგო. გენერალმა ვასკეცმა დაამარცხა ინსურგენტები. ეხლა გენერალი სანტოსი ქალაქთანა სდგას. ვასკეცმა მოსთხოვა ქალაქს დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში იერიშით აგიღებთ, შეუთვალა.

კოპენჰაგენი. 23 მარტს, სადილის შემდეგ, გერმანიის იმპერატორი „ჰოჰენცოლერნზე" წავიდა. დილის 9 საათს გერმანიის ესკადრა კილისაკენ გზას გაუდგა.

კონსტანტინეპოლი. პორტამ ამბავი მიიღო, რომ ავსტრო-ვენგრეთი რუსეთთან ერთად გამოელაპარაკა სოფიაში მაკედონიის კომიტეტთა შესახებით.

ბელგრადი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, არ გააძლიეროს მოსაზღვრე მეციხოვნენი და არ მოიწვიოს სათადარიგო ჯარის კაცნი.

კონსტანტინეპოლი. ამერიკის ელჩმა გადასცა სულთანს რუზველტის ეპისტოლე. იგი შეეხება შეერთებულ შტატების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სამისიონერო სკოლების შესახებ.

ლისაბონი. 23 მარტს მეფე ედუარდის პატივსაცემად გამართა საგანგებო საოპერო წარმოდგენა.

კოპენჰაგენი. გერმანიის იმპერატორი, მეფე და გვირგვინოსნის წევრნი დაესწრნენ წირვას მარმარილოს ეკლესიაში. დილით იმპერატორი ფრედერიკსბორგში იყო, სადაც დაათვალიერა სასახლე და ეკლესია.

24 მარტი

კილი. „ჰოჰენცოლერნის" რომელზედაც იმპერატორი ვილჰელმია, ნაშუადღევს 4 საათს აქ მოვიდა.

პარიზი. პალატამ ნება დართო მთავრობას, 65 მილიონი ფრანკი სესხად აიღოს. ეს ფული უნდა მოხმარდეს საზოგადო სამუშაოებს საფრანგეთის ახალშენებში დასავლეთ აფრიკას.

პეტერბურგი. ხარკოვის გუბერნატორს შტალმეისტერს თავად ობოლენსკის ებოძა სამხედრო წოდება—გენერალ-ლეიტენანტობა და ჩარიცხულ იქმნა საადმირალოში. თავ. ობოლენსკი ეხლანდელ თანამდებობაზედვე რჩება.

პარიზი. „ეხო დე პარი"-ში დაიბეჭდა წერილი „რუსისა" ფინლიანდიის საკითხის შესახებ. ამ წერილის გამო სხვა გაზეთებმაც ამოიღეს ხმა. წერილი გადაბეჭდეს „ჟურნალ დე დება"-მ და „გოლუა"-მ. ეს უკანასკნელი აღნიშნავს ფინლიანდიის თეორიების უმნიშვნელობას ავტორის მიერ მოყვანილ საბუთებთან შედარებით. დასასრულ გაზეთი ამბობს, რომ ფინლიანდიის თეორიის დამცველთ საქმის ვითარება სწორედ და სანამდვილოდ არ აღნიშნეთ.

26 მარტი.

კონსტანტინეპოლი. ექიმები იმედოვნებენ, რომ შჩერბინას ჯანმრთელობა სამ კვირაში დაუბრუნდება, თუ ავად მყოფობა რამე მიზეზით არ გართულდა.

ლონდონი. ოფიციალური ცნობა: „მეფე ედუარდი პარიჟს მივა."

შანჰაი. ტინზანგი, აქამდის უცნობი სრულიად მოხელე ქ. პეკინში, დანიშნულია ფუჩოუს ვიცე-კოროლად.

კონსტანტინეპოლი. გერმანიის მემკვიდრე პრინცი და პრინცი ეიტელ-ფრიდრიხი მოვიდნენ დოლმა-ბაღჩეს; სულთანმა ისინი იილდიზ-კიოსკში მიიღო და დარბაზობა მერასიმ-კიოსკში გადაუხადა.

კონსტანტინეპოლი. რუსეთმა და ავსტრო-ვენგრეთმა რომ სოფიაში განაცხადეს მაკედონიელ კომიტეტების მოქმედების თაოს-ურის დევნება გააძლიერეთო და უკეთესად დაიცავით საზღვრებით, ამას სხვა დიდი სახელმწიფოებიც შეუერთდნენ.

ბელგრადი. მეფემ გამოსცა პროკლამაცია, რომლითაც აუქმებს 1901 წლის კონსტიტუციას, სენატორთა რწმუნებას, აუქმებს თანამდებობიდან სახელმწიფო საბჭოს წევრებსა, ითხოვს საერთო კრებას და აუქმებს ბევრ სხვა კანონებსაც. ამ ბრძანების გაცემის შემდეგ, რომლითაც ახალი სენატორები და ახალი საბჭოს წევრები აინიშნებოდნენ, გამოვიდა მეორე პროკლამაცია, რომლითაც ხელ-ახლად აღდგენილ იქმნა 1901 წლის კონსტიტუცია.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ჟორესი დრეიფუსის საქმეს შეეხო და ჰკიცხავს მთავრობის სისუსტეს რენის პროცესსის დროს. ის პროტესტს აცხადებს რესპუბლიკელების პარტიათა ბრალდების წინააღმდეგ, ვითომ ესანი უცხო სახელმწიფოების გავლენით მოქმედებდნენ. ჟორესი შემდეგ დაწვრილებით იხილავს ყალბი დოკუმენტის შედგენას: „ეს უსინდისო („კანალია") დ.". შემდეგ ჟორესმა მოსთხოვა მილერს, რომელიც წინად ამბობდა, რომ ხელმწიფე ვილჰელმის ნოტა არსებობსო, რომ აუხსნა, ვინ აჩვენა იმას ეს ნოტა. მილერმა სიტყვა ბანზე აუგდო. ჟორესმა წაიკითხა აქამდის დაფარული, გენერალ პელიეს წერილი კავენიაკთან მიწერილი 31 აგვისტოს 1898 წელს, როდესაც ანრის სიყალბე პირველად აღმოაჩინეს; ამ წერილში პელიე ითხოვს სამსახურიდან დათხოვნას და ამბობს, რომ მე უსინდისო ხალხმა მომატყუა; ამიტომ არ შემიძლიან ჩემი ხელქვეითების ნდობის იმედი მქონდეს და ვერც მე ვენდობი ჩემს უფროსებსაო, რომელთაც ძალა დაიტანეს, რომ ამ საქმეში ყალბი საბუთებით გამოვსულიყავიო. ბრისონმა სთქვა, რომ კავენიაკს, რომელიც ჩემი კაბინეტის არსებობის დროს სამხედრო მინისტრათ იყო, არასოდეს არ უთქვამს არაფერი ჩემთვის ამგვარ წერილის შესახებ და დაუმატა კავენიაკს: „თქვენ სამართალში უნდა მიიცეთ, თქვენ ამას იქით რესპუბლიკას არ ეკუთვნით". კავენიაკმა უპასუხა: მაშინ ჩემი მოვალეობა უფრო კარგად ავასრულე, ვიდრე ბრისონმა პანამის საქმეში. ბრისონსა და კავენიაკს შორის შეტაკების დროს კავენიაკმა განაცხადა: მე არ უარვყოფ პელიეს წერილსა, მაგრამ მე მხოლოდ მეგონა, რომ პელიე ამგვარ წერილის დაწერას ნანობდა. კავენიაკმა პროტესტი გამოაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ დრეიფუსის საქმეს პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ. ჟორესმა კი განაცხადა: მთავრობა მოვალე იყო ხელი შეეწყო, რომ პელიეს მიერ დაწერილი ბრალდება გამოაშკარავებულიყო, იმან ეს არ ჰქმნა. სამინისტრომ ამიტომ უნდა გამოძიება მოახდინოს და დასკვნა პალატას აცნობოს. ჟორესის თხოვნით, ამ საქმეზე სჯა-ბაასი გადადებულ იქმნა.

პარიზი. საფრანგეთსა და სიამის პირობების დამტკიცების ვადა 1903 წლის 31 დეკემბრამდის გადაიდო.

სოფია. მმართველობა კუსტენდილიდან ჯარს გზავნის საზღვრებისაკენ 250 კაცისაგან შემდგარ რაზმის მდევრად.

კონსტანტინეპოლი. იტალიელმა ელჩმა პორტას ურჩია, რომ მან მალე დაამყაროს ალბანიის მშვიდობიანობა, რომ შესაძლებელი გახდეს ყველა დიდი სახელმწიფოების მიერ მოწონებულ რეფორმების განხორციელება.

— ის ცნობა, ვითომ 15000 ალბანელი გამოსულიყოს მიტროვიცის წინააღმდეგ საომრად, ტყუილი გამოდგა. იმ ალბანელთა რიცხვი, რომელნიც მიტროვიცას დაესხნენ, 1,500-ზე მეტი არ არის. იმათ დაიბანაკეს მიტროვიციდან რამოდენისამე საათის სავალზედ და მას შემდეგ სრულიად მშვიდობიანად არიან.

ბელგრადი. გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელი დენიჩთან გადადის. ახლად დანიშნული სამუდამო სენატორთაგან 12 ლიბერალია, 7 „ნაპრედნიაკი", 5 ნეიტრალი და არც ერთი რადიკალი. სენატორების არჩევანი მოხდება მაშინ, როდესაც სამუდამოთ არჩეული სენატორები შეიმუშავებენ არჩევნების კანონს და სენატში და საერთო კრებაში საქმის წარმოების წეს-რიგს. სენატისა და სახელმწიფო საბჭოს სამუდამო წევრები ახალი კონსტიტუციის ძალით არიან დანიშნულნი.

სოფია. გენერალ პაპრიკოვს მიუნდო იმ ეკლესიის შენობის თავმჯდომარეობა, რომელიც პლევნაში დახოცილ მეომრების სახსოვრათ შენდება. კრებამ მეორედ წაიკითხა საზოგადო საბაჟო ტარიფი.

— კრებამ გადასწყვიტა მინისტრათ ნ. მუთოვ ივანოვს მოეთხოვოს 150 ათასი, თუ ის ვერ გაამართლებს თავს ახლად აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებისაგან.

რომი. გაიხსნა საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო კონგრესი.

კატანია. ძლიერი მიწის ძვრა მოხდა.

პარიზი. ჟორესი თავის სიტყვას განაგრძობს. მემარჯვენენი მალ-მალ სიტყვას აწყვეტინებდნენ. ორატორი სინანულს აცხადებს, რომ გენერალ პელიეს წერილი დრეიფუსის დამცველებს არ აჩვენეს და არჩევს გერმანიის იმპერატორის ერთის შესახებ შეთხზულ ლეგენდას, რომელიც მერსიესა და ნაციონალური პრესსის საქმეა. იმი, რომელზედაც დაპარაკობდნენ ნაციონალისტები, არ უქადის საფრანგეთს. მაშასადამე ნაციონალისტებს ლაპარაკი შეუძლიათ. პალატამ უნდა გამოძიება დაანიშნოს იმის შესახებ, თუ როგორ დაიფარა ისეთი დოკუმენტი, როგორიც არის გენერალ პელიეს წერილი, და როგორ იქმნა წარმოდგენილი ყალბი წერილი გერმანიის იმპერატორისა. მემარცხენენი დიდხანს ტაშს უკრავდნენ, მარჯვენა მხრიდან კი ყვირილი ისმოდა: „წაბრძანდით ბერლინში". ჟორესის შემდეგ სამხედრო მინისტრმა ილაპარაკა, რომელმაც განაცხადა, რომ მემარჯვენენი გამოძიების დანიშვნის მომხრენი არიან იმ საქმეზე, რა საქმესაც ჟორესი შეეხო თავის სიტყვაში. რადგან მას უნდა ამ საქმეში თავისი მხრითაც სამართალი შეიტანოს, ამიტომ თანახმაა ადმინისტრატიული გამოძიებისა იურისტების თანადასწრებით (ხანგრძლივი ტაშის ცემაა მარცხნივ). კავენიაკი თხოულობს სიტყვას. მის სიტყვას სტვენით შეხვდნენ.

კოპენჰაგენი. გამოცხადებულია იმპერატორის ვილჰელმის ტელეგრამის ტექსტი მეფე ქრისტიანესთან. წასვლის შემდეგ იმპერატორმა დიდი მადლობა გამოუცხადა სახსოვარ დღეებისათვის და მეტადრე იმისათვის, რომ მეფემ ის თავის ოჯახის წევრთა რიცხვში მიიღო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

განცხადებანი

—

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უცხადებს ამ მაზრის თავად-აზნაურთ, რომ **ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება** დანიშნულია 28 მარტს, დილის 10 საათზე, თავად აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში; ამასთანავე სთხოვს ბ-ნთ თავად-აზნაურთ მოვიდნენ ამ კრებაზე და საბუთები იმისი, რომ უფლება აქვთ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაზე დასწრებისა, წარმოადგინონ 28 მარტამდე თავად-აზნაურთა სიის შესადგენად. ამასთანავე აუწყებს, რომ 10 ივნისს 1902 წ. უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს აზრის მე-5 მუხლის ძალით, შედგენილი სია, სამაზრო კრების განხილვის შემდეგ, დაბეჭდილი იქნება. (ნ 1—1)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—10)

საპონი გოლდენდერ
ვაზელინისა სატუალეტო, პირის დასაბანად საუკეთესოა

ერთი ნაჭერი 30 კაპ. ვისაც სურს ნამდვილი ვაზელინის საპონი იყიდოს, უნდა მოიკითხოს მხოლოდ საპონი გოლდენდერ სატუალეტო. იყიდება იმპერიის ყველა ქალაქებში—სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. სავაჭრო სახლი „პარფიუმ. ლაბორატორია ი. გოლდენდერ". პეტერბურგი, რაზიეზჟაია ქუჩა, № 13. (ნ. 4—3)

Дозв. ценз. Тифлисъ, 26 марта, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)